დარჩენილი სამუშაოების მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

სამშენებლო მასალების ქარხანა
ქ. თბილისი, გზატკეცილი რუსთავი, #68ა
ს/კ: 01.18.13.033.155



მშენებლობის ნებართვის მაძიებელი: შ.პ.ს. „ანკო უძრავი ქონება“ ს/კ: 405285383

დირექტორი - ირაკლი ჯობავა პ/ნ: 62001006582

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის ავტორი: გიორგი ბენდელიანი

2026 წ.

განმარტებითი ბარათი

პროექტი ითვალისწინებს ქ. თბილისში, გზატკეცილი რუსთავი, #68ა ს/კ: 01.18.13.033.155 მიწის ნაკვეთზე სამშენებლო მასალების ქარხნის მშენებლობის ორგანიზების დაგეგმვას რიგითობის და ეტაპების მიხედვით. მშენებლობის დარჩენილი სამუშაოების განხორციელების გეგმიური ხანგძლიობა განსაზღვრულია 6 თვით (იხ. კალ.გრაფიკი).

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ.თბილისში, გზატკეცილი რუსთავი #68ა საკ.კოდით: 01.18.13.033.155. საპროექტო ტერიტორიაზე მისასვლელი გზა მდებარეობს აღმოსავლეთით, საიდანაც ხორციელდება აღნიშნულ ნაკვეთზე შესვლა, ჩრდილოეთის მხრიდან საუბნო გზა, დასავლეთით სარკინიგზო გზა, ხოლო სამხრეთით კერძო საკუთრებაში რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი. ტერიტორია სწორი რელიეფისაა და საპროექტო შენობა-ნაგებობა განთავსდება არსებულ 405.30 აბსოლიტური ნიშნულზე.

საპროექტო ობიექტი წარმოადგენს სამშენებლო მასალების ქარხანას, რომელის ძირითადი ნაწილი შეადგენს ერთ სართულიანს სადაც დაგეგმარებულია საწარმოო და სასაწყობე სივრცეები, ხოლო შენობა-ნაგებობის მცირე ნაწილი ეთმობა მეორე სართულს სადაც საოფისე სივრცეა დაგეგმარებული. შენობა-ნაგებობა შერეული კონსტრუქციისაა, რომელის საძირკველიც წარმოადგენს წერტილოვანს, სართულშუა გადახურვა წარმოადგენს რ/ბ ფილა, სახურავი ქანობიანია და დახურულია სენდვიჩპანელით, შემავსებელი კედლებიც ძირითადად სენდვიჩპანელისაა, ხოლო კედლების მცირე ნაწილი თბოიზოლაციური ბლოკითაა შევსებული, ფანჯრები მუქი რუხი პროფილის მეტალო-პლასტმასისა, ხოლო შენობაში შესასვლელი კარებები მუქი რუხი ფერის ლითონისგანაა დამზადებული. შენობა-ნაგებობაში დაგეგმარებულია სამრეწველო სივრცე, სასაწყობე, საოფისე, ლაბორატორია, სამზარეულო და სველი წერტილები.

საპროექტო ტერიტორია თავისუფალია ყოველგვარი განაშენიანებისგან და არ არსებობს რაიმე ხე-ნარგავები. ტერიტორია კეთილმოეწყობა და გამწვანდება წარმოდგენილი დენდროლოგიური პროექტის მიხედვით.

1. სამუშაოების ორგანიზების რიგები და ეტაპები

I რიგის სამუშაოები:

I ეტაპი - მოსამზადებელი სამუშაოები

1. მოსამზადებელი სამუშაოები: მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდეგ, ვადის ათვლიდან უნდა განხორციელდეს ნებართვით მითითებული საჭირო შეთანხმებების და ნებართვების განხორციელება შესაბამისი სამსახურებიდან, ასევე უნდა განხორციელდეს დროებითი ქსელების მოწყობა საჭიროების შემთხვევაში სამშენებლო მექანიზმებისათვის, ამავდროულად ავტოტრანსპორტისათვის მოეწყოს სამშენებლო მოედანზე დროებითი მოხრეში გზა. ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს:

1.1 დროებითი შენობის დაყენება (სამუშაოთა მწარმოებლის ოთახი), უნდა მოეწყოს მცირე ზომის დროებითი შენობა ან ამისათვის სამშენებლო ფირმამ უნდა უზრუნველყოს დროებითი ე.წ. ,,ვაგონეტკა“ საცხოვრებლების და „საპრარაბოს“ შემოტანა დადგმა. მომუშავეთა კონტიგენტის მატებასთან ერტად დამატებითი დროებითი სათავსებუ უნდა მოეწყოს უკვე აგებული შენობის მიწისპირა სართულზე. აუცილებელია მოეწყოს წითელი ხაზების ფარგლებში.

1.2. დროებითი ღობის მოწყობა უნდა მოხდეს მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების გასწვრივ - ხის, ლითონის ფურცელბის, ფანერის ან სხვა სახის მასალის გამოყენებით, სურვილის შემთხვევაში შეღებილი, ზედ საინფორმაციო ბანერით.

1.3. სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდან, აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

II ეტაპი - დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება

2. შენობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება. გეოდეზიურ-დაკვალვითი სამუშაოები. მოსამზადებელი სამუშაოების და მობილიზაციის დასრულების შემდეგ წარმოებს შენობის ღერძული დაკვალვა და მისი მიბმა რეპერებთან, რაც სრულდება სპეციალისტთა მონაწილეობითა და სათანადო აქტის შედგენით.

2.1. თავდაპირველად ამაგრებენ დაკვალვის გარე ქსელს სამშენებლო მოედანზე ნახაზზე მიღებული ღერძების გადატანით ნატურაში. სანიველირო და დგომითი დაკვალვის წერტილები უნდა იყოს გაერთიანებული.

ელემენტებისა და კონსტრუქციების გეგმიური და მაღლივი მდგომარეობა, მათი ვერტიკალურობა, ჩასატარებელი დეტალების დაყენების სიზუსტე მოწმდება შენობის შიდა დაკვალვის ნიშნულებიდან.

II რიგის სამუშაოები:

III ეტაპი - მიწის სამუშაოები, ფუძისა და საძირკვლის მოწყობა

3.1. მიწის სამუშაოების შესრულების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინსტრუმენტალური კონტროლი. გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის დარღვევა სასურველი არ არის. ქვაბულის ძირში გრუნტის ბუნებრივი სტრუქტურის შენარჩუნება აუცილებელია.

3.2. მიწის სამუშაოების წარმოება და საძირკვლების მოწყობა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად ბუნებრივი ქვაბულების დახრის გათვალისწინებით:

ა - სასურველია მოიხსნას მიწისზედა ჰუმუსირებული ფენა და დასაწყობებულ იქნას ტერიტორიაზე შემდგომში კეთილმოწყობაში გამოსაყენებლად.

ბ - ჰუმუსის მოხსნის შემდეგ განხორციელდება მცირე მოცულობის ჩამჩიანი ექსკავატორით ან ხელით, სარდაფის და შემდგომ თითოეული წერტილოვანი საძირკვლისათვის და მათი შემკრავი კოჭებისათვის ქვაბულების ამოღება, პარალელურად ავტოთვითმცლელებზე დატვირთვა და გატანა ობიექტიდან.

3.3. მიწის სამუშაოების დასრულების შემდეგ საძირკვლების მოწყობის წინ ქვაბულებში უნდა ჩატარდეს შენობის ღერძული დაკვალვა საკადასტრო რუკით გამოყოფილ წითელ ხაზებთან შეთავსებით, ღერძების დამაგრება აუცილებელია უძრავ ელემენტებზე. როგორც წესი ამ დანიშნულებით გამოიყენება დროებითი ღობე.

3.4. მიწის სამუშაოების წარმოება სასურველია ინჟინერ სპეციალისტის მეთვალყურეობის ქვეშ. მოჭრილი მიწა გატანილ უნდა იქნას სამშენებლო მოედნიდან.

3.5. საძირკველბის ქვაბულების მოწყობის შემდეგ უნდა მოიტკეპნოს ქვაბულის ძირი, მოეწყოს ზედ ბუნებრივი ფენილი ხრეშ-კენჭნარის ბალიში, ფენობრივად დატკეპნილი დაახლოებით 30 სმ. მისი დატკეპნის შემდეგ დაეფინოს ზედ ჰიდროსაიზოლაციო პოლიეტილენის ფირი, შემდეგ მოეწყოს ბეტონის მოსამზადებელი ფენა სისქით 10 სმ. საძირკვლის დასრულება-გაშრობის შემდეგ უნდა განხორციელდეს მიწის და შემოტანილი ბალასტის უკუჩაყრა და ფენობრივად დატკეპვნა. საძირკვლებისა და რკინაბეტონის კედლების მოწყობის შემდეგ უნდა განხორციელდეს იატაკის ფილის მოწყობა ქვეშ მოსამზადებელი ფენებით.

3.6. საძირკველების ძირის ნიშნულებიც ასევე კონტროლდება გეოდეზიური ინსტრუმენტების გამოყენებით ნიველირით ან თეოდოლიტით. შემოწმების შედეგები უნდა ფიქსირდებოდეს გეოდეზიურ კონტროლის ჟურნალში და უნდა შედგეს შესაბამისი დაკვალვის აქტები.

IV ეტაპი - ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა +0.00 ნიშნულის ჩათვლით

4.1. საძირკვლების და იატაკის ფილის გაშრობის შემდეგ უნდა განხორციელდეს მონოლითური რკინაბეტონის სვეტების მოწყობა, შემდეგ რიგელების, შემდეგ გადახურვის ფილის. მონოლითური რკინა-ბეტონის ყველა კონსტრუქციისათვის წინასწარ უნდა მომზადდეს ხის ყალიბი, შემდეგ პროექტის მიხედვით ჩაეწყოს მასში ლითონის არმირებული კარკასი და ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს თითოეული კონსტრუქციის დაბეტონება მიმდევრობით და დაბეტონების ტექნოლოგიის სრული დაცვით.

სასურველია დაბეტონების პროცესი შეთანხმდეს პროექტის კონსტრუქტორთან.

შენობის აგებაზე სამუშაოთა ჩასატარებლად მიწისზედა სამუშაოების წარმართვა რეკომენდირებულია მობილური ამწეების გამოყენებით.

V ეტაპი - ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა +0.00-დან და +10.50 ნიშნულის ჩათვლით.

VI ეტაპი - სახურავის ძირითადი კონსტრუქციული და სენდვიჩპანელის სისტემის მოწყობა.

6.1. ლითონის კონსტრუქციის კარკასის დასრულების პარალელურად ყველა ღია ადგილი უნდა იყოს შემოსაზღვრული უსაფრთხოების ლენტებით ან ბადეებით სანამ კედლები იქნება ამოყვანილი. სასურველია ღამის განათების მოწყობა ფასადებზე.

6.2. ლითონის კონსტრუქციის კარკასის დასრულების შემდეგ უნდა მოეწყოს სენდვიჩპანელით გადახურვა და გამოყენებული უნდა იქნას საიზოლაციო საშუალებები იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული ნალექის მოხვედრა შენობის კარკასულ ჭრილებში.

6.3. პირველი სართულის გადახურვის შემდეგ შესაძლებელია გარე და შიდა კედლების მსუბუქი ბლოკის წყობით ამოყვანა-შევსება.

VII ეტაპი - გარე და შიდა კედლების მოწყობა სენდვიჩპანელითა და მსუბუქი ბლოკის წყობით, გარე და შიდა კარ-ფანჯრის მოწყობა.

18.1. მშენებლობის მიმდევრობითი მეთოდებით წარმართვის თვალსაზრისით სენდვიჩპანელისა და ბლოკის კედლების მოწყობის შედგომ ან პარალელურად შესაძლებელია შიდა და გარე კარფანჯრისმოწყობა, შემდეგ ტექნოლოგიურად შესაძლებელია სხვა სამუშაოთა განშლაც, როგორიცაა საბათქაშო-მოსაპირკეთებელი, იატაკების მოწყობა, სამღებრო, პარალელურად უნდა წარიმართოს სანტექნიკური და ელექტროტექნიკური სამუშაოები. სუსტი დენების მონტაჟი, და ა.შ.

VIII ეტაპი - ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა.

8.1. საინჟინრო სქელი-ტექნიკური ქსელების მოწყობა, განხორციელდეს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით, ნებისმიერი ცვლილების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნახაზების დაკორექტირებუს გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა(ინჟინრების) და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

8.2. გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები ფასადის მოპირკეთებები უნდა შესრულდეს პროექტის მიხედვით მიდგმულ ვერტიკალური სახარაჩო სისტემის გამოყენებით.

8.3 გარე მოსაპირკეთებელი სამუსაოები დაიგეგმოს და შესრულდეს ქვეყანაში მიმდინარე უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით.

IX შენობის შიდა და გარე სივრცეში ტექნიკური დანადგარების მოწყობა

სამშენებლო ობიექტი ყოველდღიურად უნდა კონსტროლდებოდეს უსაფრთხოების ინჟინერის სპეციალისტების ქვეშ, საქართელოში მოქმედი უსაფრთხოების კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს უსაფრთხოების კუთხით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გადამზადება.

9.1. სამუშაოთა მწარმოებელმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელოს დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციით, არქიტექტურულ, კონსტრუქციულ ან სხვა საპროექტო გადაწყვეტილებებში ცვლილებების თვითნებური შეტანა ავტორებთან შეთანხმებისა და ნახაზების კორექტირების გარეშე დაუშვებელია, რაც უნდა მოხდეს დადგენილი წესით შესაბამისი ხელმოწერებით ავტორებისა და პროექტის მთავარი არქიტექტორის მხრიდან.

X ეტაპი ხეების დარგვა, ობიექტის დასუფთავება და ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშაოები

10.1. ტერიტორიის კეთილმოწყობის დაწყების წინ ტერიტორია დაიკვალოს და მხოლოდ დაკვალვის შემდგომ მოხდეს აღნიშნული სამუშაო.

10.2. ტერიტორიაზე დასარგავი ხე-ნარგავების დარგვის ადგილების დაკვალვა და მათი დარგვა, ხე-ნარგავების დარგვა მოხდეს დენდროლოგიური პროექტის შესაბამისად.

10.3. ბოლო თვეებში უნდა მოხდეს ეზოს კეთილმოწყობა-გამწვანება.

10.4. ობიექტი ვერ ჩაბარდება ექსპლუატაციაში შენობის სრული დამთავრებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა-გამწვანების გარეშე.

10.5. გამწვანების შემდგომ დაიგეგმოს მთლიანი ობიექტის დასუფთავება მიმდევრობით და მომზადება ექსპლუატაციაში მისაღებად.

2. რეკომენდირებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

6.1. მშენებლობის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში.

6.2. რეკომენდირებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ- მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.

იხ. ცხრილი

№	დასახელება	მარკა	რაოდენ. ცალ
1	2	3	4
1	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი სამშენებლო ტვირთის შემოსატანად	სხვადა-სხვა	2
2	ექსკავატორი ჩამჩის ტევადობით 0,5 მ^3 ტევადობით.	–	1
3	სიღრმითი ვიბრატორი	C-3698	1
4	ზედაპირული ვიბრატორი	C -697	1
5	გადასატანი კომპრესორი	CO-45	1
6	შესადუღებელი აგრეგატი	CO-48	1
7	ცემენტის ფენის მოსასწორებელი აგრეგატი	CO-89	1
8	შესალეს-მომასწორებელი აგრეგატი	CO-54	1
9	მობილური ამწე საავტომობილო სვლაზე, სხვადასხვა მარკის, იცვლებიან საჭიროების მიხედვით	-	1
10	სამშენებლო საწეველა ტვირთამწეობით 320 კგ ტვირთის სიმაღლეზე აწევით 40 მ-მდე	–	1
11	ელექტროშესადუღებელი აპარატი	კომპ	2
12	ავტოგენური შედუღების აპარატი	კომპ	1
13	ლითონის სახარახო სექციები 50 მ^2 ფართობისათვის	კომპ	1
14	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნ-დამჭერი და სხვა	კომპ	2

3. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების

ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად ,,სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში და სხვა ნორმატიულ - საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე: საქართველოში მოქმედი ,,მშენებლობის უსაფრთხოების წესები“ (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 27.05.2014წ. #361 დადგენილებით.) და სნ და წ. ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით.) კერძოდ:

3.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

3.2. ბეტონის ტუმბოს გამოყენებისას ნარევის მიწოდება და ჩასხმა ქარგილებში უნდა მოხდეს ერთ მეტრზე ნაკლები სიმაღლიდან.

3.3. ზედმეტი გრუნტის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

3.4. მშენებლობაში საჭიროა სერტიფიცირებული მასალების და ნაკეთობების გამოყენება მათი ტოქსიკურობის გათვალისწინებით დაშვებულ ნორმებში.

3.5. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწამლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს დღიურ მოთხოვნილებას.

3.6. საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.

3.7. საყალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მოწმდება საიმედობაზე მათში ბეტონის ჩასხმამდე . ასევე მოწმდება ბადიის საიმედობაც და წესრიგიანობაც სამაგრების თვითგახსნა რომ არ მოხდეს.

3.8. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით. ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურებაც არ მოხდეს.

3.9. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტრო კარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

3.10. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილას გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოს შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.

3.11. სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწეველები, პარკეტისა და მოზაიკის საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია. ელექტროქსელის სამსახურის ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და გასანათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

3.12. ელექტროსაწეველას და სხვა მანქანა მექანიზმების მუსაობის პერიოდში მის ქვეშ ან სიახლოვეს უცხო და სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ პირთა ყოფნა აკრძალულია.

3.13. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშენებლო მოედანზე და მის სიახლოვეს სახიფათო ზონაში დაუშვებელია.

3.14. აუცილებელია შეზღუდვის საზღვრების მითითება დროებით ღობეზე და სხვა თვალსაჩინო ადგილებში ავტოტრანსპორტის მოძრაობის შემზღუდავი ფირნიშებთან ერთად და მათი განათების უზრუნველყოფა ღამის საათებში

4. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

4.1. მშენებლობის პროცესში აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდებარე ტერიტორიის დამტვერიანების თავიდან ასაცილებლად.


4.2. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულების პერიოდში ფასადებს საჭიროა ჩამოეფაროს ფარდა, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვირს გაბნევა სელიტებულ ზონაში.

4.3. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭებში ბეტონის და ხსნარმილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

4.4. ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზანშეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

4.5. გარემოს დაცვის სამსახურიდან ნებართვის გარეშე მშენებლობის ზონაში იკრძალება მრავალწლიანი ხეების და მარგავების მოჭრა-განადგურება.

4.6. ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობი.



მითითება:

1. სამშენებლო ზოლის გასწვრივ აუცილებელია ეკოლოგიური და ბუნების დაცვითი მოთხოვნილებების დაცვა.
2. სამუშაოები უნდა წარიმართოს შრომის, ელექტრო და ხანძარსაშრომების ღონისძიებების გათვალისწინების თანახმად საქართველოს მოქმედი სამშენებლო კანონმდებლობისა.

ფორმატი A-3	თბილისი 2023წ.	ფაილის სახელი
	დაკვეთა №	

შენობა ნაგებობის შუნქცია:

ქარხანა

მშენებლობის ორგანიზაცია
მაშტაბი: 1/1000

ტექ მაჩვენებლები

1. მთ. გზა
2. საპროექტო შენობა
3. დროებითი ღობე
4. სამანქანო ჭიშკარი
5. სამუშაოთა მწარმოებლის ჯიხური
6. ინვენტარის შესანახი ჯიხური
7. სანკვანძი (დროებითი)
8. სამშენებლო მასალების დასაწყობების ადგილი
9. დაცვის ჯიხური
10. სამშენებლო ავტო-ტრანსპორტი

პირობითი ნიშნები:

ნაკვეთის საზღვარი
ჭრილის ხაზი
არქიტექტურული ნიშნული

დამკვეთი: შპს "ანკო შპრავი ქონება"
ID ნომერი: 405285383

მისამართი:
ქალაქი თბილისი, გზატკეცილი რუსთავი, №68ა

საკ. კოდი: (01.18.13.033.155)

თარიღი 01/12/2023წ.

კორექტირება

№	კორექტირება	თარიღი
1		
2		
3		
4		
5		
6		

საპროექტო ორგანიზაცია

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	გ. ბენდელიანი	
არქიტექტორი		
შემსრულა		

საპროექტო ლოგო	მისამართი
BIJI ARCHITECTURE BIJI ARCHITECTURE	ქ. თბილისი გ. შავიშვილის 1ა ოფისი №1 TEL: 595 55-35-74 599 75-28-88

მასშტაბი	მ 1:100	
თარიღი	01/12/2023წ.	
სტადია	ფორმატი	შეცდილი
პროექტი	A-3	

დარჩენილი სამუშაოების, მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

№	სამუშაოთა ჩამონათვალი	1 თვე	2 თვე	3 თვე	4 თვე	5 თვე	6 თვე	7 თვე	8 თვე	9 თვე	10 თვე	11 თვე	12 თვე	13 თვე	14 თვე
		5 10 15 20 25 30	5 10 15 20 25 30	5 10 15 20 25 30	5 10 15 20 25 30	5 10 15 20 25 30	5 10 15 20 25 30	5 10 15 20 25 30	5 10 15 20 25 30	5 10 15 20 25 30	5 10 15 20 25 30	5 10 15 20 25 30	5 10 15 20 25 30	5 10 15 20 25 30	5 10 15 20 25 30
	I რიგის სამუშაოები														
I	მოსამზადებელი სამუშაოები. (დროებითი ღობისა და დამხმარე შენობების მოწყობა.														
II	შენობის ბრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება, გეოდეზურ-დაკვალვითი სამუშაოები														
	II რიგის სამუშაოები														
III	მიწის სამუშაოები, ფუძის მოწყობა, საძირკვლის მოწყობა, ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულამდე														
IV	ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა ნულოვან ნიშნულის ჩათვლით														
V	ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა +0.00 ნიშნულიდან +7.70 ჩათვლით														
VI	სახურავის ძირითადი კონსტრუქციული სისტემისა და სენდვიჩპანელით დახურვა/მოწყობა														
VII	გარე და შიდა კედლების მოწყობა, გარე და შიდა კარ-ფანჯრის მოწყობა														
VIII	ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა, შიდა არემონტო სამუშაოები														
IX	შენობის შიდა და გარე სივრცეში ტექნიკური დანადგარების მოწყობა,														
X	ხელების დარგვა, ობიექტის დასუფთავება და ექსპლუატაციაში ჩაბარების წინა სამუშაოები														

შენიშვნა:

1. მშენებლობის დაწყება აითვლება მშენებლობის ნებართვიდან.
2. კალენდარულ თვეში 25 სამუშაო დღე, 2-თვეში 50 დღე შაბათის ჩათვლით, კვირა დასვენების დღედაა ჩათვლილი.
3. კალენდარული გრაფიკის პუნქტებში გათვალისწინებული სამუშაოები არ ნიშნავს მათ დღეებში გაჭიანურებას, მონიშნულია მათი შესრულების პერიოდები შეყოვნენების გათვალისწინებით.
4. სამუშაოები აუცილებელია განცორციელდეს შრომის, ელექტრო, ხარძარ-უსაფრთხოებისა და ბუნების დაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით.
5. დარჩენილი სამუშაოების, მშენებლობის ხანგრძლივობა განისაზღვრა 6 თვით.

ღობეზე გასაკრავი ბანერი



ფორმატი A-3 | თბილისი 2023წ. | დაკვეთა № | ფაილის სახელი

შენობა ნაგებობის დანიშნულება:

ქარხანა

მშენებლობის კალენდარული გრაფიკი

ტექ მახვენებლები

პირობითი ნიშნები:

ნაკვეთის საზღვარი

ჭრილის ხაზი

არქიტექტურული ნიშნული

დამკვეთი: შპს "ანკო უძრავი ქონება" ID ნომერი: 405285383

მისამართი: ქალაქი თბილისი, გზატკეცილი რუსთავი, №68ა

საკ. კოდი: (01.18.13.033.155)

თარიღი	01/12/2023წ.
კორექტირება	

№	კორექტირება	თარიღი
1		
2		
3		
4		
5		
6		

საპროექტო ორგანიზაცია

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	გ. ბენდელიანი	
არქიტექტორი		
შესასრულა		

საპროექტო ლოგო | მისამართი

BIJI ARCHITECTURE

ქ. თბილისი, მ. შავიშვილის 1ა ფეხი №1

TEL: 595 55-35-74
599 75-28-88

მასშტაბი	მ 1:100	
თარიღი	01/12/2023წ.	
სტადია	ფორმატი	შეკვეთილი
პროექტი	A-3	